პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 79

2018 წ. "08" 05

ქ. თბილისი

შპს ინტერბიზნესის აკადემიის ავტორიზაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ინტერბიზნესის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 201990881) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 241-ით.
2. შპს ინტერბიზნესის აკადემიას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.
3. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2018 წლის 18 ივნისი.

4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 8 მაისის №8 სხდომის ოქმის მეოთხე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე

ელგუჯა მელაძე

მდივანი

მანანა მახარაშვილი

დანართი

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	პრაქტიკოსი ექთანი	მეხუთე	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	ქართული	61	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	სადაზღვევო აგენტი (1)	მეოთხე	სადაზღვევო აგენტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 020254	87	117	ქართული	48	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
2	ბუღალტრული აღრიცხვა (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 020156	99	129	ქართული	24	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
3	საოფისე საქმე (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში 020369	59	89	ქართული	24	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

4	ღონისძიების ორგანიზება (1)	მეოთხე	მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ღონისძიების ორგანიზებაში 020370	61	91	ქართული	24	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
5	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი (1)	მეხუთე	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 112063	95	125	ქართული	48	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8
6	ინფორმაციის ტექნოლოგია (1)	მესამე	მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში 040171	60	75	ქართული	12	ქ. თბილისი, შ. ჯაფარიძის ქ. №8

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.